



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 24

„18“ მარტი 2015 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული უძრავი ქონების გაცვლაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რათა მან ს.ს. „კახეთის ენერგოდისტრიბუციას“ ელექტროენერგიით მოსახლეობის სრულყოფილად უზრუნველყოფის მიზნით გაუცვალოს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვანთაში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.01.47.104, 14 კვ.მ) ამავე სოფელში მდებარე ს.ს. „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კოდი №53.01.47.004, 46,20 კვ.მ მიწა, 28,6 კვ.მ შენობა - ნაგებობა) და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.12.35.143, 52 კვ.მ) ამავე სოფელში მდებარე ს.ს. „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კოდი №53.12.33.002, 54,20 კვ.მ მიწა, 24,4 კვ.მ შენობა - ნაგებობა).

- 2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
- 3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



Handwritten signature in blue ink.

პაატა გიორგობიანი